სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05.04/207

ქ. თბილისი 30 აგვისტო 2018

თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების გამგის აკადემიკოს ვახტანგ კოკილაშვილის მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, აკადემიკოს ვახტანგ კოკილაშვილის 2018 წლის 30 აგვისტოს განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აგვიტოს №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის მათემატიკის დეპარტამენტში მათემატიკის სპეციალობის ჯგუფებისათვის ლექციების წასაკითხად პროფესორის თანამდებობაზე (200 საათზე) 2018-2019 სასწავლო წელს მოწვეულ იქნეს აკადემიკოსი ვახტანგ კოკილაშვილი (საგანთა ჯგუფი : ნამდვილი ანალიზი, კომპლექსური ანალიზი, ფუნქციონალური ანალიზი)
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე